

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №1

ქ. ახმეტა

8 იანვარი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: თ. წითელაური, რ. ბადაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრები: ა. ბულრიძე, თ. მგელიაშვილი, რ. გახუაშვილი,
ა. შათირიშვილი, გ. ხუცურაული, ი. მრელაშვილი,
ა. მექვევრიშვილი, თ. ბოდაველი, ა. ხიზანაიძე,
დ. იმერლიშვილი, ლ. უძილაური, ნ. ალავიძე,
ლ. ითიურიძე, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე,
თ.მოზაიძე, დ. ავაზაშვილი, ლ. გოგოთიძე,
გ. ხადიშვილი, ფ. შიომღვიმელი, ვ. დედაბრიშვილი,
დ. ახალკაციშვილი, თ. ბორჩაშვილი, ვ. სუხოშვილი.

სხდომა გაიხსნა 10⁰⁰საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე წევრებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

3. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

4. ფრაქცია „სამართლიანობა“ -ის ფრაქციის შექმნის ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

ლევან ითიურიძე შემოვიდა წინადადებით : შეიქმნას ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი.საკითხი დაემატოს დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

დღის წესრიგს მე-5 საკითხად დაემატა: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკრებულოს დამსწრე წევრებს ნორმატიული აქტის პროექტი. (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვა:

თამაზ ზორჩაშვილი დაინტერესდა არის თუ არა 18 წლის ზევით უნარშეზღუდული მოზარდების დახმარება შესაძლებელი. რაზეც მომხსენებელმა უპასუხა: შესაძლებელია თუმცა ბიუჯეტთან არის დაკავშირებული.

შაქრო ტურტერაშვილმა აღნიშნა, რომ ერთადერთი მიზეზი ამ შემთხვევაში რის გამოც არ დაფუქერ მხარს წარმოდგენილ პროექტს არის ის ფაქტი, რომ პროექტები არ შემოდის მერიიდან დროულად, რის გამოც ვერ ვასწრებთ საკითხის განხილვას და გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული შენიშვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

23 - მომხრე

5- მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №1 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მოხსენებელი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი: შევიდეს ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი რაზეც დამსწრე საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 1 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოხსენებელი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი: შევიდეს ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობაში ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი რაზეც დამსწრე საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №2 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 4 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მოხსენებელი: ფრაქცია „სამართლიანობა“-ის ფრაქციის შექმნის ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ფრაქცია „სამართლიანობა“-ის შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია თეიმურაზ ბოდაველი.

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

მოდისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი შეიქმნას ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი. საკრებულოს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2018წლის 1 მარტამდე. საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანს წარმოადგენს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

საკითხი ერთხმად იქნა მიღებული.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №3 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

კომისია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. ლევან ითიურიძე- თავმჯდომარე.
2. აისენ ბულრიძე.
3. დავით იმერლიშვილი.
4. არჩილ მექვევრიშვილი.
5. არჩილ შათირიშვილი.
6. შაქრო ტერტერაშვილი.
7. ბიძინა ჭიჭიკლიშვილი.
8. თამაზ წითელაური.
9. თემურ ბოდაველი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის
თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე
წინადადებას დაყენება.

თამარ ყვინიშვილიმ გააკეთა განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნება - შრეწველები“-ის
თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია გელა ხადიშვილი.

საკრებულის სხდომა დაიხურა 12³⁰ საათზე.

საკრებულის თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი



განმარტებითი ბარათი

დადგენილების პროექტზე: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის მიღების აუცილებლობით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს მუნიციპალური სოციალური პროგრამის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველი, აგრეთვე შესაბამისი საჭიროების მქონე ფიზიკური პირები მიიღებენ ფულად და სხვა სახის დახმარებას. პროგრამის განხორციელების მიზანია საერთო სოციალური ფონის უკეთესობისკენ შეცვლა, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება, ბავშვთა სახლში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში და მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა და ბავშვის ინსტიტუციაში დაბრუნების რისკის მინიმუმამდე შემცირება, სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთა (დაუნის სინდრომი, აუტიზმის სპექტრი) დახმარება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

---აღნიშნული პროგრამით კვლავ გრძელდება ჩვენი მუნიციპალიტეტის იმ მოსახლეობის დახმარება, რომელთაც აღნიშნული ესაჭიროება ჯანმრთელობის თუ ეკონომიური მდგომარეობის გამო. 2018 წლის სოც.პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და გახდა 515.400 ლარი. თანხა გადანაწილდა (გაიზარდა, შემცირდა) პრიორიტეტების მიხედვით-- რომლებზეც სტატისტიკურად უფრო მეტი საჭიროება დადგინდა განცხადებების ოდენობისა და სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით.

--პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში მოხდა დახმარების დიფერენცირება პირველ ბავშვზე 100 ლარი, მეორე ბავშვზე 200 ლარი. გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი 20 000 ლარამდე;

--გაიზარდა სასურსათო პაკეტის მოცულობა მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის 50 ლარიდან 100 ლარამდე, შესაბამისად გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტის 3000 დან 6000 ლარამდე;

--წლებანდელი პროგრამისთვის სიახლეს წარმოადგენს აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება 150 ლარის ოდენობით. დახმარების გაცემა მოხდება აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღისათვის (2 აპრილი). პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1500 ლარით.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება მოახდენს გავლენას **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება მოახდენს გავლენას ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.